

2022-2023 | საქართველოს ჩემპიონატი

ჭაბუკთა "ბ" ლიგა

1. გათამაშებაში მონაწილეობენ მხოლოდ 2006-2007 წლებში დაბადებული ჭაბუკებით დაკომპლექტებული გუნდები
 - 1.1 სათამაშო დღეებია: ოთხშაბათი და ხუთშაბათი
 - 1.2 მოქმედებს ჭაბუკთა წესები. ტაიმი 30 წუთიანია, სინზინი (ყვითლით გაძევება) – 5 წუთიანი
 - 1.3 ძირითადი დებულების 5.2 მუხლის თანახმად, განაცხადში უნდა ეწეროს მინიმუმ 32 (ოც და თორმეტი) მოთამაშე
 - 1.3.1 სალიცენზიო გადასახადია მოთამაშეზე 5 (ხუთი) ლარი
 - 1.3.2 მატჩის ოქმში გუნდს შეუძლია ჩაწეროს 11 სათადარიგო, ოღონდაც ამათგან თამაშში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ რვას (8) და სამი (3) მათგანი პირველ-ხაზელი უნდა იყოს
 - 1.4 სამედიცინო შემოწმება სავალდებულოა
 - 1.5 მატჩის წინ გუნდმა კომისარს უნდა წარუდგინოს მოთამაშეთა ლიცენზიები. ამ საბუთის არ მქონე ჭაბუკი თამაშზე არ დაიშვება
 - 1.6 გამგეობის 2013 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებისა (ოქმი #9) და სრკ-ის პრეზიდენტის ბრძანების თანახმად – "ბ" ლიგის შესაფერი ლიცენზიის არ-მქონე მწვრთნელის გუნდი შეჯიბრზე არ დაიშვება

2. მონაწილეთა რაოდენობა: 31

მონაწილენი დაყოფილი არიან ორ ღონედ:

2.1 ოქროს ჯგუფი (8 გუნდი)

1	ლელო თბილისი
2	აია ქუთაისი
3	ხვამლი თბილისი
4	ბათუმი 1 ბათუმი
5	არმაზი მარნეული
6	კოლხი რაინდები ფოთი
7	აკადემია თბილისი
8	არმია თბილისი

2.2 ვერცხლის ჯგუფები (23 გუნდი)

დასავლეთი (5 + 5 = 10 გუნდი)

"ა"		"ბ"	
1	ბათუმი 2 ბათუმი	1	აია 1 ქუთაისი
2	პონტო ქობულეთი	2	არწივები ოზურგეთი
3	რაგბის სკოლა ჭიათურა	3	რაგბის კლუბი ზუგდიდი
4	ღონე ჩოხატაური	4	ტაო სამცხე-ჯავახეთი
5	დინოზავრი წყალტუბო	5	ჯრუჭი საჩხერე

აღმოსავლეთი (6 + 7 = 13 გუნდი)

"გ"		"დ"	
1	ხარები რუსთავი	1	წიქარა თბილისი
2	ყოჩები ბოლნისი	2	ლოკომოტივი თბილისი
3	ვეფხვები-ხულიგანა	3	იუნკერები კიკეთი
4	ჭადარი თელავი	4	ჯიქი გორი
5	ლელი 2 თბილისი	5	ლეგიონი ხაშური
6	ავჭალა თბილისი	6	ყაზბეგი სტეფანწმინდა
7	ხვამლი 2 თბილისი		

3. გათამაშების სისტემა

შეჯიბრება ორივე დონეზე ტარდება ორ ეტაპად

3.1 I ეტაპზე ჯგუფებში იმართება ორ წრე: მიმოსვლით – შინ და გარეთ

3.1.2 ჯგუფებში ადგილები ნაწილდება დაგროვილი ქულებით

3.1.2.1 თუ ორ ან მეტ გუნდს დაუგროვდა ტოლი ქულა, დაწინაურდება ის:

ა) რომელმაც დააგროვა მეტი (საცხრილო) ქულა ურთიერთ შეხვედრებში

ბ) რომელსაც გატანილი და გაშვებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა აქვს ურთიერთ შეხვედრებში

გ) რომელსაც გატანილი და გაშვებული ლელოების უკეთესი სხვაობა აქვს ურთიერთ შეხვედრებში

დ) რომელსაც გატანილი და გაშვებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა აქვს ჯგუფის ყველა მატჩში

ე) რომელსაც გატანილი და გაშვებული ლელოების უკეთესი სხვაობა აქვს ჯგუფის ყველა მატჩში

ვ) რომელმაც ნაკლები დისციპლინარული სასჯელი (ჯერ წითელი, მერე ყვითელი ბარათი) მიიღო ჯგუფის ყველა მატჩში

3.1.3 ვერცხლის დონეზე წრიულ სტადიას მოჰყვება **საკლასიფიკაციო მატჩები**, რომელთა შედეგად ყველა გუნდს მიეჩინება ადგილი ვერცხლის დონეზე.

3.1.3.1.1 დასავლეთში ა 1 - ბ 1 | ა 2 - ბ 2 | ა 3 - ბ 3 | ა 4 - ბ 4 | ა 5 - ბ 5

3.1.3.1.2 აღმოსავლეთში გ 1 - დ 1 | გ 2 - დ 2 | გ 3 - დ 3 | გ 4 - დ 4 | გ 5 - დ 5 | გ 6 - დ 6

3.1.3.2 წყვილები ორჯერ – შინ და გარეთ თამაშობენ I-II | III-IV | V-VI | VII-VIII | IX-X | XI-XII ადგილებისთვის

3.1.3.2.1 აღმოსავლეთში გ 7 უთამაშებლად გადის XIII ადგილზე

3.1.3.3 პირველი მატჩის მასპინძელი ირჩევა წილისყრით. გამარჯვებული ჯამური ანგარიშით ვლინდება. ბონუსები არ ირიცხება

3.1.3.4 ჯამურ ფრეზე გამარჯვებულად ცხადდება გუნდი:

ა) რომელმაც მეტი ლელო გაიტანა ამ მატჩებში

ბ) რომელმაც ნაკლები დისციპლინარული სასჯელი (ჯერ წითელი, მერე ყვითელი ბარათი) მიიღო ამ მატჩებში

გ) რომელიც მოიგებს მეორე მატჩის შემდეგ დანიშნულ **შუთაუთს** – 5 დარტყმა მიწიდან, 22-მეტრა ხაზზე, სამი ადგილიდან

3.1.4 ვერცხლის დონის **ფინალში** დასავლეთსა და აღმოსავლეთში I ადგილებზე გასულები ორჯერ – შინ და გარეთ თამაშობენ

3.1.4.1 პირველი მატჩის მასპინძელი ირჩევა წილისყრით. გამარჯვებული ჯამური ანგარიშით ვლინდება. ბონუსები არ ირიცხება

3.1.4.2 ჯამურ ფრეზე მოქმედებს **3.1.3.4** ა) - გ) მუხლები

3.2 II ეტაპზე – პლენი-ოფში – ოლიმპიური სისტემით ვლინდება ჩემპიონი და პრიზიორები, და ნაწილდება ყველა ადგილი

3.2.1 ოქროს პლენი-ოფში ითამაშებენ I ეტაპის შედეგად:

ოქროს ჯგუფში I – VI ადგილებზე გასულები (ნომრებად მიენიჭებათ 1 – 6), ვერცხლის დონის ფინალის მოგებულები (ნომერი 7) და ამავე ფინალის წაგებულები (ნომერი 8)

3.2.1.1 ოქროს ჯგუფში VII – VIII ადგილებზე გასულები ჩადიან ვერცხლის დონის სათანადო რეგიონში და იღებენ

- 1 ნომერს – თუ სხვადასხვა რეგიონს ეკუთვნიან
- 1 და 2 ნომრებს, ოქროს ჯგუფში დაკავებული რიგით – თუ ერთსა და იმავე რეგიონს ეკუთვნიან

ამის გათვალისწინებით ჩასწორდება საკლასიფიკაციო მატჩებით დადგენილი რეგიონული ნუმერაცია


3.2.2 შემდეგ, 2022-2023 სეზონში ოქროს ჯგუფს შეადგენენ 2021-2022 სეზონის ოქროს პლენი-ოფის მონაწილენი, ხოლო ვერცხლის დონეს – ყველა სხვა

3.2.3 რეგიონებში ცალ-ცალკე ეწყობა ვერცხლისა და ბრინჯაოს პლენი-ოფები

3.2.3.1 ვერცხლის პლენი-ოფებში ითამაშებენ ოქროს ჯგუფიდან ჩამოქვეითებულნი და საკლასიფიკაციო მატჩებით დადგენილი უკეთესი გუნდები – ჯამში მაქსიმუმ 8 (რვა)

3.2.3.2 ბრინჯაოს პლენი-ოფებში ითამაშებენ ოქროსა და ვერცხლის პლენი-ოფების მიღმა დარჩენილი გუნდები – საკლასიფიკაციო მატჩებით დადგენილი ნუმერაციით

3.3 პლეი-ოფები ტარდება კლასიკური სქემით:



3.3.0 რაუნდი სამია: მეოთხედ-ფინალი, ნახევარ-ფინალი და ფინალი

3.3.1 ყოველ მომდევნო რაუნდში წინას

3.3.1.1 მოგებული უწყვილდება მოგებულს და თამაშობს უკეთესი ადგილებისთვის

3.3.1.2 ხოლო წაგებული – წაგებულს და თამაშობს უარესი ადგილებისთვის

3.3.2 მეოთხედ-ფინალსა და ნახევარ-ფინალში წყვილები ორჯერ – შინ და გარეთ თამაშობენ

3.3.2.1 პირველ მატჩში მასპინძელია უარეს (მეტ) ნომრიანი გუნდი

3.3.2.2 გამარჯვებული ჯამური ანგარიშით ვლინდება. ბონუსები არ ირიცხება

3.3.3 ფინალებში თითო მატჩია – მასპინძელია უკეთეს (ნაკლებ) ნომრიანი

3.3.4 პლეი-ოფში (ჯამურ) ფრეზე გამარჯვებულად ცხადდება ის გუნდი:

ა) რომელმაც მეტი ლელო გაიტანა ამ მატჩ(ებ)ში

ბ) რომელმაც ნაკლები დისციპლინარული სასჯელი (ჯერ წითელი, მერე ყვითელი ბარათი) მიიღო ამ მატჩ(ებ)ში,

გ) რომელიც მოიგებს მეორე მატჩის (3.3.2) ან ფინალის (3.3.3) შემდეგ დანიშნულ
შუთაუთს – 5 დარტყმა მიწიდან, 22-მეტრა ხაზზე, სამი ადგილიდან (დანართი #10)

4. სავარაუდო ვადები

2022 წლის სექტემბერი – 2023 წლის ივნისი

5. მატჩის გამართვის წესი

5.1. შეჯიბრის ეფექტური მართვის და გუნდების მომსახურების ხარისხის გაზრდის მიზნით, საქართველოს რაგბის კავშირი თითოეულ მატჩზე მიავლენს შესაბამის თანამშრომლებს, რომლებიც მასპინძელი გუნდის პერსონალთან და მატჩის ოფიციალურ პირებთან ერთობლივად მოახდენენ მატჩის ორგანიზებას.

5.2. მატჩის ორგანიზებაში ჩართულ პირთა სავალდებულო ფუნქციები:

მატჩის კომისარი	მთავარი როლი: უზრუნველყოს მოედნის დათვალიერება, სტადიონის ტექნიკური დათვალიერება, გასახდელები, მსაჯის ოთახი, ტელევიზია, ინტერნეტი, ჩაატაროს ბრიფინგი მატჩის მომსახურე პირებთან, სტადიონის ტექნიკურ პერსონალთან და დაცვასთან, ყინული, ცყალი, მოსაცმელები (გუნდები, ექიმები, ტექ.პერსონალი, ტელევიზია, ფოტოგრაფები) სტადიონზე უნდა გამოცხადდეს თამაშის დღეს, მატჩის დაწყებამდე 2 საათით ადრე, დანიშნოს ბრიფინგი და ყველა პასუხისმგებელ პირთან ერთად გაიაროს თამაშის გეგმა
(სრკ)	მატჩის მსვლელობის ყველა აქტივობის (ჯარიმა, ლელო, გარდასახვა, შეცვლა, ტრავმა და სხვა) აღრიცხვა
გუნდების მენეჯერები	მატჩის მეთვალყურესთან თამაშის წინ სხვადასხვა ტექნიკური დეტალების შეთანხმება; მეთვალყურისთვის სათამაშო განაცხადის დროულად შევსება და მიწოდება; გუნდის მოთხოვნების შესრულება; გუნდის მიერ მატჩის სცენარის დაცვის უზრუნველყოფა და ა.შ. მასპინძელი გუნდის მენეჯერი ასევე ითავსებს ბურთის მომტანების მართვას

ბურთის მომტანების მენეჯერი (მასპინძელი კლუბი)	პასუხისმგებელია ბურთის მომტანების დროულად მოსვლაზე და განლაგებაზე
ბურთის მომტანები (მასპინძელი კლუბი)	გუნდებისთვის ბურთის დროულად მიწოდება
მატჩის ექიმი (სრკ)	თამაშის დღეს სამედიცინო ოთახის გამართული მუშაობა, სტადიონზე სასწრაფო დახმარების ბრიგადის მისვლის უზრუნველყოფა

შენიშვნა: სრკ-ს მიერ მივლენილი პირები ითვლებიან მატჩის ოფიციალურ პირებად

5.3. კლუბები (გუნდები) ვალდებული არიან ითამაშონ “ჟილბერტის” ან „რაინოს“ ფირმის ბურთით. მასპინძელი გუნდი ვალდებულია მატჩზე წარმოადგინოს მინიმუმ 3 სათამაშო ბურთი.

5.4. „ბ“ ლიგის გათამაშებაში მონაწილე კლუბები (გუნდები) ვალდებული არიან მატჩის დაწყებამდე მინიმუმ 1 საათით ადრე წარმოადგინონ გუნდის განაცხადის საბოლოო ვერსია, რომელშიც მომდევნო შესწორების შეტანა დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებული საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში (ტრამვა, დადასტურებული ავადმყოფობა, უბედური შემთხვევა, განსაკუთრებული მნიშვნელობის ოჯახური და/ან პირადი მდგომარეობა). ამ წესის დარღვევის შემთხვევაში კლუბს დაეკისრება სადისციპლინო რეგულაციით გათვალისწინებული სანქცია.

6. მატჩის მასპინძელი გუნდის ვალდებულებები

6.1. მატჩის ეფექტურად ორგანიზების მიზნით, მასპინძელი გუნდი ვალდებულია:

6.1.1. ჩაატაროს მატჩები საშეჯიბრო განაცხადში მითითებულ სტადიონებზე.

6.1.2. უზრუნველყოს სათამაშო მოედნის და პერიმეტრის მზადყოფნა მე-6 მუხლის („რაგბის სათამაშო გარემოს სტანდარტი“) თანახმად.

7. რაგბის სათამაშო გარემოს სტანდარტი

7.1. „ბ“ ლიგის თამაშები შეიძლება გაიმართოს როგორც ბუნებრივსაფარიან, ისე ხელოვნურსაფარი მოედნებზე.

7.2. ტერმინთა განმარტება:

7.2.1. სათამაშო მოედანი - ფართობი კარის და აუტის კიდის ხაზებს შორის.

7.2.2. ჩათვლის (ლელოს) მოედანი - ფართობი კარის ხაზიდან ლელოს უკანა და მისი აუტის (კიდის) ხაზებს შორის.

7.2.3. სათამაშო არე - ფართობი სათამაშო მოედნისა და ლელოს მოედნების ჩათვლით. პერიმეტრი - სათამაშო არის ოთხივე მხრიდან არსებული გარემომცველი ე.წ. უსაფრთხოების ზოლი.

7.2.4. სათამაშო გარემო - ფართობი სათამაშო არისა და პერიმეტრის ჩათვლით.

7.2.5. ტექნიკური ზონა - პერიმეტრის ზოლში მწვრთნელის, წყლის მიმტანისა და ექიმისათვის გამოყოფილი ადგილი.

7.2.6. ლუქსი - განათებულობის საზომი ერთეული.

7.3. მოედნის ფორმა, დახაზვა და ზომები:

7.3.1. სათამაშო არე მართკუთხა ფორმისაა.

სათამაშო არე უწყვეტი და წყვეტილი ხაზებით მსოფლიო რაგბის 1.3. სქემისა და 1.4.

1.5. და 1.6. რეგულაციების მიხედვით იხაზება.

7.3.2. ბუნებრივსაფარიანი სათამაშო და ლელოს მოედნის ზომები:

ზომა	სათამაშო მოედნის სიგრძე	სათამაშო მოედნის სიგანე	ლელოს მოედანი
მაქსიმუმი	100 მ.	70 მ.	22 მ.
მინიმუმი	94 მ.	68 მ.	6 მ.

7.3.3. ხელოვნურსაფარიანი სათამაშო და ლელოს მოედნის ზომები:

ზომა	სათამაშო მოედნის სიგრძე	სათამაშო მოედნის სიგანე	ლელოს მოედანი
მაქსიმუმი	100 მ.	70 მ.	22 მ.
მინიმუმი	94 მ.	65 მ.	5 მ.

შენიშვნა: მსოფლიო რაგბის 1.3. რეგულაციის მიხედვით, სათამაშო არის მინიმალური სიგანე 68, ხოლო ლელოს მოედნის სიგრძე კი 6 მეტრია.

7.3.4. თუ სათამაშო მოედნის სიგრძე 100 მ-ზე ნაკლებია, მაშინ 10 და 22 მეტრიან ხაზებს შორის მანძილი შესაბამისად უნდა შემცირდეს.

7.3.5. თუ სათამაშო მოედნის სიგანე 70 მ-ზე ნაკლებია, მაშინ მანძილი 15 მეტრიან ხაზებს შორის შესაბამისად უნდა შემცირდეს.

7.4. პერიმეტრი სათამაშო არიდან თანაბარი მანძილით უნდა იყოს დაშორებული (გარშემორტყმული), რომლის მინიმალური ზომები აუტის კიდის ხაზიდან 2 მეტრი, ხოლო ლელოს მოედნის აუტის ხაზიდან 2 მეტრი უნდა იყოს.

შენიშვნა: მსოფლიო რაგბის 1.3.(e) რეგულაციის მიხედვით, პერიმეტრის სიგანე, როგორც აუტის კიდის ხაზიდან, ასევე ლელოს მოედნის აუტის ხაზიდან სასურველია, რომ 5 მეტრზე ნაკლები არ იყოს.

7.5. ტექნიკური ზონა აუტის კიდის ხაზის გასწვრივ, 10 მეტრიან წყვეტილ და 22 მეტრიან ხაზებს შორის უწყვეტი ხაზებით იხაზება. მისი მინიმალური სიგანე 1 მეტრი, ხოლო სიგრძე კი 10 მეტრია, რომელიც აუტის კიდის ხაზიდან მინიმუმ 1 მეტრით უნდა იყოს დაშორებული.

7.6. სათამაშო გარემოს ზედაპირი:

7.6.1. სათამაშო გარემოს ზედაპირი ყოველთვის უნდა იყოს უსაფრთხო. ზედაპირი დასაშვებია იყოს ბალახის, ქვიშის, თიხნარის, თოვლის და ხელოვნური ბალახის.

7.6.2. სათამაშო გარემოს ზედაპირი დაუშვებელია იყოს მკვრივი (ხისტი) ბეტონისა და ასფალტის შესაბამისად.

7.6.3. სათამაშო გარემოს ზედაპირი არ შეიძლება იყოს ქვიანი, ღრმულებიანი, ტალღოვანი, შუშის, რკინის, პლასტმასისა და სხვა მსგავსი ნივთების ნამსხვრევებითა თუ ნამტვრევებით დანაგვიანებული.

7.6.4. სათამაშო გარემოში არსებული სარწყავი სისტემის თავები (სპრინკლერები) არ უნდა იყოს ამოშვებული მოედნის ზედაპირიდან და ისინი გრუნტის სიღრმეში უნდა მდებარეობდნენ. ასევე აუცილებლობას წარმოადგენს პერიმეტრის არეში არსებული საკომუნიკაციო ჭის თავსახურების შეფუთვა.

7.6.5. სათამაშო გარემოს ზედაპირი თოვლიან ამინდში ყინულისგან უნდა იქნას გაწმენდილი, ხოლო მოედნის დატბორვის შემთხვევაში თუ იგი მოთამაშეებსათვის საფრთხის შემცველია მატჩის დაწყება მსაჯის დისკრეციულ უფლებას წარმოადგენს.

7.7. პერიმეტრის 2 მეტრიანი ზოლის მიმდებარედ, მის აშკარა სიახლოვით განლაგებული ობიექტები (ხე, რკინის ძელი, ბეტონის კონსტრუქცია, ღობე, კედელი და სხვა), რომლებიც შესაძლებელია მოთამაშისთვის საფრთხეს წარმოადგენდეს, სავალდებულოა შეიფუთოს ისე, რომ უსაფრთხოება იქნას დაცული.

7.8. სათამაშო გარემოს ტერიტორიაზე აკრძალულია მაგიდის, სკამების, სარეკლამო კონსტრუქციის, სავარჯიშო და სათამაშო აღჭურვილობის ჩანთების, შერკინების დაზგის, საბურავების, რკინის საგორავებლების და სხვა მსგავსი ტიპის ნივთების არსებობა, გარდა მატჩის კომისრისა და დროებით გაძევებული მოთამაშეებისთვის (სინ ბინი) განკუთვნილი მაგიდა და სკამები.

7.9. სათამაშო გარემოში 14 ალამიანი სარი უნდა იყოს დასობილი, რომელთა მინიმალური სიმაღლე 1.2 მეტრია და ისინი მსოფლიო რაგბის 1.9. 1.10. რეგულაციის მიხედვით უნდა იყოს განლაგებული.

7.10. ყველა სარი შალითით შეფუთული და შეჯახებისას დრეკადი (კეცვადი) უნდა იყოს.

7.11. რაგბის კარის ზომები მსოფლიო რაგბის 1.7. სქემის მიხედვით რეგულირდება, მაგრამ ხარიხიდან ძელის მინიმალური სიმაღლე სასურველია 7 მეტრი იყოს.

7.12. კარის ქვედა ძელების შალითებით შეფუთვა სავალდებულოა, რომელიც კარის ხაზიდან მოედანში 30 სანტიმეტრზე მეტად არ უნდა გადიოდეს. შენიშვნა: თუ რომელიმე გუნდს პრეტენზია გააჩნია სათამაშო გარემოსთან დაკავშირებით, თამაშის დაწყებამდე მსაჯს და კომისარს უნდა მიმართოს. მსაჯი მოვალეა რეაგირება მოახდინოს და შეეცადოს პრობლემის გადაჭრას, მაგრამ მან არ უნდა დაიწყოს მატჩი თუ სათამაშო გარემოს რომელიმე ნაწილი საფრთხის შემცველია. (მსოფლიო რაგბის 1.11. 1.12. რეგულაციების მიხედვით)

7.13. სათამაშო გარემოს დამხმარე ნაგებობებია:

- გასახდელი ოთახები
- საშხაპეები
- საპირფარეშოები
- მსაჯების ოთახი
- სამუშაო სივრცე

7.14. 15-კაცა რაგბის ერთ გუნდზე მინიმუმ 23 მოთამაშეზე შესაბამისად მოწყობილი გასახდელია სავალდებულო, შესაბამისად მოწყობილი საპირფარეშოთი და საშხაპეებით, რომელიც ცივი და ცხელი წყლით თანაბრად უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

7.15. 7 კაცა/ქალა რაგბის ერთ გუნდზე მინიმუმ 12 მოთამაშეზე შესაბამისად მოწყობილი გასახდელია სავალდებულო, შესაბამისად მოწყობილი საპირფარეშოთი და საშხაპეებით, რომელიც ცივი და ცხელი წყლით თანაბრად უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

7.16. სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა შეუფერხებლად უნდა გადაადგილდებოდეს, როგორც სამედიცინო ოთახის ან კარვის, ასევე სათამაშო გარემომდე მისასვლელ გზაზე.

7.17. მსაჯების ოთახი დამოუკიდებელი გასახდელით, საშხაპითა და საპირფარეშოთი უნდა იყოს მოწყობილი, რომელიც ცივი და ცხელი წყლით თანაბრად უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

7.18. დამოუკიდებელი კომისრის ოთახის არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია სხვა ადმინისტრაციული ოთახის გამოყოფა, რომელიც შეჯიბრის დღეს კომისრის სრულ განკარგულებაში იქნება.

7.19. დამხმარე ნაგებობები, კერძოდ გასახდელი ოთახები, საპირფარეშოები და საშხაპეები ისევე, როგორც სათამაშო გარემოს მიმდებარედ არსებული საჯარო სველი წერტილები, ექვემდებარება ყოველთვიურ სავალდებულო დეზინფექციას, რომელიც ეპიდემიოლოგის მითითებების შესაბამისად უნდა განხორციელდეს.

8. მეჯიბრის სამედიცინო მომსახურების წესი

8.1. საქართველოს რაგბის კავშირი უზრუნველყოფს „ბ“ ლიგის თითოეულ სასწრაფო დახმარების ბრიგად(ებ)ის დასწრებას.

8.2. „ბ“ ლიგის მონაწილე ყველა კლუბი (გუნდი) ვალდებულია სეზონის დაწყებამდე წარმოადგინოს მოთამაშეების სამედიცინო შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი (ფორმა #100), რომელიც უნდა მოიცავდეს (მინიმუმ):

- თერაპევტის კონსულტაციას
- კარდიოლოგის კონსულტაციას (მსოფლიო რაგბის მიერ შემუშავებული კარდიოლოგიური სკრინინგის დოკუმენტაცია)
- ეკგ-ს
- კავშირი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

8.3. თამაშის მასპინძელი კლუბი (გუნდი) ვალდებულია თამაშის დღეს უზრუნველყოს მატჩზე ექიმის დასწრება, რომელიც მოემსახურება ორივე გუნდს.

8.4. ყველა მოთამაშე, რომელსაც თამაშში დაუდასტურდება ტვინის შერყევა ტოვებსმოედანს/ არ ბრუნდება თამაშზე და ისვენებს მინიმუმ 19 დღე.

8.5. კავშირი ვალდებულია, გუნდის მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის საფუძველზე, განიხილოს გუნდში არსებული მიმდინარე სამედიცინო პრობლემა, რომელიც შეიძლება იყოს ვირუსი, ინფექცია ან სხვა, და მიიღოს თამაშის გადადების გადაწყვეტილება.